ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასპექტები



საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ადგილობრივი თვითმმართველობების ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების ტენდენციები, მნიშვნელოვნად გაუარესდა ადგილობრივ დონეებზე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, შემცირდა წარმოების ზრდა, გაიზარდა უმუშევრობა, გამწვავდა ეკოლოგიური მდგომარეობა.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა ადგილობრივ დონეზე ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფდა ადგილობრივი თვითმმართველობების ქმედუნარიანობის ამაღლებას. გამომდინარე იქედან, რომ ცენტრალური ხელისუფლება იჩენდა სრულ ინდიფერენტულობას ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების საქმეში, მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა და ფერხდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი იყო ასევე თვითმმართველობების განვითარების ერთიანი მეთოდოლოგიის არარსებობა. სწორედ მეთოდოლოგიის საშუალებით უნდა განისაზღვროს, თუ როგორ პოლიტიკას ირჩევს ცენტრალური ხელისუფლება ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების კუთხით, როგორია სახელმწიფოს როლი და დანიშნულება თვითმმართველობების განვითარების საქმეში და როგორ უწყობს ხელს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები ადგილებზე არსებული მძიმე სოციალური საკითხების ეფექტიანად გადაწყვეტას.

შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების კუთხით არ გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები შემდეგი მიმართულებით;

- **საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შექმნის კუთხით; ადგილობრივი განვითარების პროგრამების სოციალურად ორიენტირებულობის კუთხით; ადგილობრივი კანონების ეფექტურობის კუთხით; ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის კუთხით; ადგილობრივი მნიშვნელობის კანონების მიღებისას ადგილობრივი მოსახლეობის თანამონაწილეობის კუთხით.**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 57-ე მუხლის მიხედვით ადგილობრივ თვითმმართველობებში საფინანსო კონტროლის ფორმებია; **ა) აუდიტორული შემოწმება; ბ) საფინანსო შემოწმება.** აუდიტორული შემოწმება არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმება, რომელსაც საკრებულოს ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით, არა უმეტეს წელიწადში ერთხელ ატარებს მოწვეული აუდიტორი. აუდიტორის დასკვნა წარედგინება საკრებულოს. თავის მხრივ, აუდიტორი დასკვნას აგზავნის საქართველოს კონტროლის პალატაში. აუდიტორული დასკვნა საჯაროა და ექვემდებარება გამოქვეყნებას. საფინანსო შემოწმებას ახორციელებს საკრებულოს საფინანსო კომისია, აღნიშნული შემოწმება ასევე შესაძლებელია განახორციელოს საქართველოს კანონით განსაზღვრულმა სხვა ორგანომაც.

თანამედროვე პირობებში შეიმჩნევა მუნიციპალიტეტების განვითარების უთანაბრობა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული საკანონმდებლო ნორმები ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გამოთანაბრების შესახებ, ის მაინც არ არის ეფექტიანი და ხელს არ უწყობს ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებას. ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების პასიურობით და გულგრილობით არის გამოწვეული ის, რომ ფაქტობრივად არ ხდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დამოუკიდებლად განვითარების გზების დასახვა.

სწორედ მუნიციპალიტეტების დამოუკიდებლობა თვითმმართველობების კონკურენტუნარიანობის ამაღ-

ლების საწინდარია. შეჯიბრობითობის პრინციპი, კონკურენცია მუნიციპალიტეტებს შორის უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის პოზიციების გაძლიერებას.

თითოეულ მუნიციპალიტეტს განვითარების თავისებურებანი გააჩნია, მაგრამ არსებობს ასევე საერთო პრობლემები. თითქმის შეუძლებელია ერთი რომელიმე მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული პრობლემების ხშირ შემთხვევაში დამოუკიდებლად გადაწყვეტა. არ არსებობს საკმარისი ურთიერთდამოკიდებულება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტში არსებულ მეწარმე-სუბიექტებს შორის, რაც იწვევს მუნიციპალიტეტების განვითარების შეფერხებას და მათ მუშაობას ქაოტურს და არაპროგნოზირებადს ხდის ხოლმე. საჭიროა მუნიციპალიტეტებსა და მეწარმე-სუბიექტებს შორის არსებობდეს ორგანიზაციული, სისტემური და ინსტიტუციონალური კომუნიკაცია. ასეთი კომუნიკაციების არარსებობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა ვერ იქნება შედეგზე ორიენტირებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილებზე არსებული საწარმოების ფუნქციონირებას. საინტერესოდ მიგვაჩნია განვიხილოთ, თუ როგორი ზემოქმედება შეუძლიათ მოახდინონ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა (მუნიციპალიტეტებმა) ადგილებზე მოქმედი საწარმოების მოგებიანობაზე.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობებს რამდენიმე გზით შეუძლიათ ადგილობრივ საწარმოებზე ზეგავლენის მოხდენა; პარტნიორობა და საქმიანი ურთიერთობა მუნიციპალიტეტსა და საწარმოებს შორის; საწარმოების მონაწილეობის მიღება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ განხორციელებულ საქონლისა და მომსახურების შესყიდვაში; ადგილობრივი სატარიფო პოლიტიკა; ფინანსური დახმარება; ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება; ადგილობრივი მიწათმოწყობის დაგეგმვა; ადგილობრივი საწარმოებისათვის მშენებლობის ნებართვების გაცემა; ადგილობრივ საწარმოებში დასაქმებული მოქალაქეების სისტემატური გადამზადება.

ადგილობრივ თვითმმართველობებს მიღებული ფინანსებით ასევე შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ადგილობრივი საგადასახადო ბაზის გაფართოების კუთხითაც, რაც საბოლოო ჯამში სამეწარმეო საქმიანობის გაუმჯობესებას და სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს.

ადგილობრივ თვითმმართველობებს შეუძლიათ ადგილებზე სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების მიზნით დააწესონ დიფერენცირებული გადასახადი ქონების დაბეგვრისას .

მოქმედი საგადასახადო კოდექსით, ქონების გადასახადი (აღნიშნული გადასახადი წარმოადგენს ერთადერთ ადგილობრივ გადასახადს) შეადგენს საწარმოს ბალანსზე რიცხული ქონების საშუალო საბალანსო ღირებულების არა უმეტეს 1%-ს. აღნიშნულ განაკვეთზე მეტის დაწესების უფლება თვითმმართველ ერთეულებს არ გააჩნიათ, ხოლო, რაც შეეხება მინიმალურ განაკვეთს, იგი კანონმდებლობით არ რეგულირდება. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ადგილობრივ თვითმმართველობებს შეუძლიათ დააწესონ ქონების გადასახადზე 1%-ზე ნაკლები განაკვეთი, რაც საერთო ჯამში მუნიციპალიტეტებში აღნიშნული გადასახადის მობილიზების მიმართულებით მდგომარეობას გააჯანსაღებს.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებულ ერთ საწარმოს ადგილობრივ ბიუჯეტში ქონების გადასახადის კუთხით ნაკლები გადასახადი მოუწევს, მთლიანობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის კუთხით მობილიზებული გადასახადების ჯამური ოდენობა მნიშვნელოვნად გადააჭარბებს 1%-ანი ქონების გადასახადის არსებობისას ბიუჯეტში შემავალ თანხებს.

ეს საკითხი მუნიციპალიტეტების მიერ არ არის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლილი. **ამიტომაა, რომ საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში,** (მათ შორის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოებისთვის) შემოღებულია მაქსიმალური 1%-იანი განაკვეთი, რაც ხშირ შემთხვევაში განპირობებულია ადგილობრივი თვითმმართველობების არაპროფესიონალიზმით. ადგილობრივ თვითმმართველობებს არ გააჩნიათ საბიუჯეტო დამოუკიდებლობა და მათი გადაწყვეტილებები ხშირად არაკომპეტენტურობით გამოირჩევა.

ადგილობრივ თვითმმართველობებს ასევე შეუძლიათ მოახდინონ ადგილობრივი საწარმოების უზრუნველყოფა იაფი კაპიტალით, რაც გამოიხატება მათთვის სესხის, სუბსიდიის და სხვა გრანტების მიცემით. აღნიშნული მეთოდების გამოყენება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით არ რეგულირდება, რაც საერთო ჯამში ნეგატიურად აისახება ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებაზე. აღნიშნული მეთოდი კარგად აპრობირებულია უცხოეთის მრავალ განვითარებულ ქვეყანაში.

ადგილობრივი თვითმმართველობები უცხოეთში (აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში) ფართოდ იყენებენ საგადასახადო შეღავათებს იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც ფუნქციონირებენ შტატებში, მუნიციპალიტეტებში, საგრაფოებში. ადგილობრივი თვითმმართველობები მათ ტერიტორიაზე მოქმედი კომპანიების მიმართ იყენებენ როგორც საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ ბერკეტებს, ასევე ამ კომპანიებს უწესებენ სხვადასხვა საგადასახადო შეღავათებს, ე.წ. „საგადასახადო არდადეგებს“, ასევე აძლევენ საგადასახადო კრედიტებს. ადგილობრივი თვითმმართველობები საწარმოებს უწევენ ასევე არაპირდაპირ დახმარებებს, რაც გამოიხატება პრემიების დაწესებით, ასევე დაბალპროცენტიანი სესხების გაცემით. ასეთი

მიდგომებით თანდათან ფართოვდება ადგილობრივი საგადასახადო ბაზა, ხდება მუშა-ხელის დასაქმება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. აღნიშნული კუთხით საქართველოს თითქმის არც-ერთ მუნიციპალიტეტში არ გამოიყენება უცხოეთში აპრობირებული წახალისების ფორმები, თუ არ ჩავთვლით საგადასახადო კოდექსით დადგენილი ქონების გადასახადის დიფერენცირებულ 1%-იან განაკვეთს, რომლის გამოყენებაც არ ხდება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ და მათ სამოქმედო ტერიტორიაზე.

საქართველოს მუნიციპალიტეტებში კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის შემთხვევაში. აღნიშნული გადასახადი წარმოადგენს ქონების გადასახადის შემადგენელ ნაწილს, რომელიც 100%-ით ირიცხება შესაბამისი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში. საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად **არასასოფლო-სამეურნეო მიწის 1 კვ-მ-ზე გადასახადის საბაზისო განაკვეთი შეადგენს 0,24 ლარს, ხოლო ტერიტორიულობის კოეფიციენტი მერყეობს 1-იდან 1,5-მდე, მინიმალური განაკვეთი 1 კვ.მ-ზე შეადგენს 0,24 ლარს, ხოლო მაქსიმალური განაკვეთი 0,36 ლარს.**

ადგილობრივი თვითმმართველობების ტერიტორიები ქონების გადასახადის მიზნებისთვის დაყოფილი იყო ზონებად და თითოეულ ზონაში მოქმედებდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე განსხვავებული განაკვეთი. **2011 წლიდან თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მოქმედებს ერთი განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს მაქსიმალურ განაკვეთს-0,36 ლარს 1 კვ.მ-ზე.** ასეთი დაბეგვრით მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოებს გაეზარდათ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი, რაც მათ მიერ წარმოებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულების გაზრდას იწვევს, მთლიანობაში კი ეს ადგილებზე უმუშევრობის პროვოცირებას უწყობს ხელს, ხოლო, ადგილობრივი საწარმოების მიერ წარმოებული საქონელი და მომსახურება დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის ხელმიუწვდომელი ხდება.

ზემოაღნიშნული ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას აფერხებს და ადგილობრივ თვითმმართველობებს ცენტრზე დამოკიდებულს ხდის. ასეთი მიდგომები კი ადგილობრივი თვითმმართველობების მოტივაციის მინიმუმამდე დაყვანას უწყობს ხელს, რაც აღრმავებს უფსკრულს ადგილობრივ ხელისუფლებასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის ტრანსფარენტულობას, მის გამჭვირვალობას და მოსახლეობისადმი ანგარიშვალდებულებას.

საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა სრულად გამორიცხავს ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ინიციატივის გამოჩენას. თითქმის შეუძლებელია ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მთავრობების მიერ მათ ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების მისამართით სხვადასხვა საინფორმაციო მომსახურების გაწევა (იურიდიული, საკონსულტაციო, საფინანსო და სხვა მომსახურება). აღნიშნული მიდგომების არარსებობით კი ფაქტიურად ადგილობრივი ხელისუფლება ვერ უწყობს ხელს მათ ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების დახმარებას და საერთო ჯამში მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტებში გამოყენებულ უნდა იქნეს უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული მიდგომები ადგილობრივ საწარმოებთან ურთიერთობის კუთხით (თვითმმართველობებში ერთობლივი შერეული კომპანიების დაფუძნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კაპიტალის მეშვეობით და სხვა).

ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ **თითქმის არც ერთ მუნიციპალიტეტში წარმომადგენლობითი ორგანოების (საკრებულოები) მიერ არ მიიღება ისეთი კანონები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების სწრაფად და ეფექტიანად გადაწყვეტა. ეს ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია როგორც ობიექტური (საკანონმდებლო ვაკუუმი), ასევე სუბიექტური (არაკვალიფიციური კადრების არსებობა) ფაქტორებით. ცენტრალური ხელისუფლების მიერ დღემდე არ ხდება ისეთი კანონების მიღება, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობას და ფინანსურ მდგრადობას. ამიტომ, ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ყოველწლიურად მძიმდება და ადგილობრივი თვითმმართველობების მაკროეკონომიკური პარამეტრები ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება 1990 წლამდე (საბჭოთა კავშირის პერიოდამდე) არსებული რაიონების მონაცემებს. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ადგილობრივ დონეებზე მართვის უსისტემობა, ადგილებზე სუსტი მენეჯმენტი, კადრების არასწორი შერჩევა და გადამზადების კურსების არარსებობა, ასევე ადგილობრივი რესურსების** (ბუნებრივი, ფინანსური, ადამიანური, ინფორმაციული და სხვა) პოტენციალის შესახებ არაობიექტური ინფორმაცია და ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით მათი გამოუყენებლობა.

თითქმის არცერთ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ადგილობრივი ბიუჯეტების განმტკიცებისა და გაზრდის კუთხით მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები, არ არის მოძიებული ადგილობრივი საბიუჯეტო რეზერვები, რამაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან თითქმის არ ხდება იმ ტრანსფერის ოდენობის გამოანგარიშება, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობებს ეკუთვნით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამი-

სად. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობები ტრანსფერის იმ ოდენობას სჯერდებიან, რომელსაც მათ ცენტრი ,,უწყალობებს“. გამოყოფილი ტრანსფერი ვერ უწყობს ხელს ადგილობრივ თვითმმართველობებში მცხოვრები პირების სოციალურ გამოთანაბრებას და ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური ელფერი **დაჰკრავს (თუ ჩვენი მხარდამჭერია, მეტ ტრანსფერს მიიღებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იმას უნდა დაჯერდეს, რასაც ჩვენ ვთავაზობთ).**

სწორედ ამის გამო ადგილობრივი თვითმმართველობების დონეებზე არ არსებობს ადგილობრივი ბიუჯეტების დაგეგმვის ერთიანი მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებული უნდა იყოს წარმომადგენლობითი ორგანოების (საკრებულოების) მიერ.

ამდენად, **მიგვაჩნია, რომ იგნორირებულია ადგილობრივი ორგანოების ინტერესები (მოკლევადიანი, გრძელვადიანი) და ამოცანები. ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენა ხდება ექსპერტული გათვლების გარეშე, რაც ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.**

განვლილმა 20 წელმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განვითარების მიმართულებით ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ეპიზოდური იყო ძალისხმევა. ადგილებზე არასათანადო დონეზეა სააღრიცხვო საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა მუნიციპალიტეტი კანონის შესაბამისად არსებულ ვადებში ღებულობდა ადგილობრივ ბიუჯეტებს, მათ არ ჰქონდათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საწარმოების შესახებ სრული ინფორმაცია, არ იცოდნენ საწარმოების ბალანსზე რიცხული ქონების ღირებულების შესახებ, ასევე იმ საწარმოების შესახებ, რომლებზეც ეკონომიკისა და მგდრადი განვითარების სამინისტროს და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გაცემული ჰქონდა ლიცენზია შესაბამის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების სარგებლობის კუთხით.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობა იყო არაეფექტური და ვერ უწყობდა ხელს ადგილებზე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, შედეგად ადგილებზე მეტად სავალალო პირობებში არის ადგილობრივი წყალსადენები, სათაო ნაგებობები, საკანალიზაციო სისტემა, ადგილობრივი გზები და ა.შ. აღნიშნული საკითხების მოგვარების მიმართულებით ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე არაფერი კეთდებოდა.

მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს არ ჰყავდა თავისი საგადასახადო სამსახურები - ცენტრალურ დონეზე არსებული საგადასახადო სამსახური კი ძირითადად ცენტრალური მთავრობის ინტერესებს ითვალისწინებდა და არ უწყობდა ხელს ადგილობრივი ბიუჯეტების ზრდას. არ არსებობდა ასევე ადგილობრივი სამუშაოების დაგეგმვის ორგანიზაცია.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ფაქტობრივად ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის კავშირი გაწყვეტილია, რაც დიდი უნდობლობას იწვევს. ამის დამადასტურებლად გამოგვადგება ის, **რომ თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში საკრებულოს სხდომების გამართვის დროს დარბაზში არ იმყოფებიან რიგითი მოქალაქეები, არ არსებობს არანაირი საკანონმდებლო ინიციატივები მოქალაქეების მხრიდან, რაც იწვევს დიდ ხიდჩატეხილობას ადგილობრივ მთავრობასა და მოქალაქეებს შორის. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები (დეპუტატები) არ გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციით, არ იჩენენ არანაირ საკანონმდებლო ინიციატივებს, რაც მთლიანობაში არაეფექტურს ხდის მათ მუშაობას, ხოლო, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას არ გააჩნია არანაირი ბერკეტი გამოიწვიოს მათ მიერვე არჩეული დეპუტატი საკრებულოებიდან.**

საქართველოს მუნიციპალიტეტებში მოუწესრიგებელია საბიუჯეტო პროცესი. საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საბიუჯეტო პროცესი ეს არის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებას და და კონტროლს. საბიუჯეტო კოდექსის მთავარი პრინციპია ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ხარჯვის გამჭვირვალობა და ტრანსფარანტულობა.

ცნობილია, რომ ფინანსთა სამინისტროს კანონმდებლობით ევალება მოახდინოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ერთ სულ მოსახლეზე საშუალო ყოველწლიური საბიუჯეტო შემოსავლების დადგენა და უთანაბრობის შემთხვევაში მოახდინოს მისი გამოთანაბრება. აღნიშნულ გამოთანაბრებას ფინანსთა სამინისტრო ახდენს ტრანსფერების საშუალებით. გამომდინარე იქედან, რომ მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და საინვესტიციო მდგომარეობა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, ცენტრიდან მისაღები ტრანსფერების ოდენობაც განსხვავებული იყო.

ასეთი სატრანსფერო პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში ადგილებზე მხოლოდ პასიურად უწყობდა ხელს მდგომარეობის გაუმჯობესებას და ვერ ახდენდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თვითგანვითარების სტიმულირებას. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ვერ იჩენდნენ ადგილებზე ინიციატივას, ასეთი პასიურობა კი მთლიანობაში მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური მდგომარეობის კიდევ უფრო გართულებას იწვევდა. ამიტომ დღის წესრიგში დგებოდა, ის რომ თავად ადგილობრივ თვითმმართველობებს გამოეჩინათ პრინციპულობა და არსებული რესურსების პირობებში დაეწყოთ გადაჭრის გზების ძიება საკითხების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე.

სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობის გაზრდის მიმართულებით, კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სოციალურ ყოფას და განვითარების სამომავლო პერსპექტივის ბუნდოვანებას იწვევდა.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მრავალჯერ იყო მცდელობა ადგილობრივი თვითმმართველობების საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიმართულებით, რეალურად არაფერი კეთდებოდა და ადგილობრივი თვითმმართველობები ცენტრალურ ხელისუფლებაზე კიდევ უფრო დამოკიდებულნი ხდებოდნენ.

არადა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განვითარება წარმოუდგენელია ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე, რაც უნდა გამომდინარეობდეს ადგილობრივი თვითმმართველობების სპეციფიკიდან და მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოფდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საფინანსო-საბიუჯეტო დამოუკიდებლობის ზრდას. აღნიშნულმა მხარდაჭერამ საბოლოო ჯამში უნდა უზრუნველყოს ადგილებზე ერთ სულ მოსახლეზე საბიუჯეტო შემოსავლების გამოთანაბრება და ცენტრისა და ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებათა კომპეტენციების მკვეთრი გამიჯვნა.

ამჟამად არსებობს გარკვეული ვალდებულებები, რომელიც შედის როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაში, რეალურად კი ასეთ ვალდებულებას ხელისუფლების არცერთი შტო (ცენტრალური და ადგილობრივი) არ ასრულებს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბორის ჭიჭინაძე
აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

გამოყენებული ლიტერატურა;

1. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპის ქარტია.
2. ბარათაშვილი ე. რეგიონული ეკონომიკა, თბ. 2004 წ
3. ბოლაშვილი პ, მუნიციპალური განვითარების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, თბ. 2000 წ, გვ.140-144.
4. გველესიანი ე, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ძირითადი მიმართულებები (საქართველოს მაგალითზე), ქუთ. 2009, დისერტაცია; ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. გვ.236.
5. ერქომაიშვილი გ. საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტები, წიგნში; ,,ქალაქის მართვა“, თბ, 2002 წ, გვ.45-48.
6. საქართველოს კანონი-,,ზოგადი განათლების შესახებ“
7. ჭითანავა ნ. ჟურნ. ,,ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2012 წ, №1. გვ.36
8. ხმალაძე კ. ჟურნ. ,,ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2011 წ, №10-11, გვ.72-79
9. Ведомости Литовскои Республики, №4, закон ,,Литовскои Республики о выборах советов самоуправлении“
10. Дергачев И. А., Регионалистика, Издательскиы проект 2008 г
11. www.economy.gov.ge- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი.
12. www.b-k.ge-ჟურნალ ,,ბიზნესი და კანონმდებლობის“ ოფიციალური ვებ-გვერდი.
13. www.mrdi.gov.ge-საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალური ვებ.გვერდი.
14. www.governement.gov.ge საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდი.
15. www.nala.ge- საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის ოფიციალური ვებ-გვერდი.
16. www.mof.ge- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი.
17. www.geostat.ge- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი.